# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 162

„29“ აპრილი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.009.443; №01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.575.672 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.009.443; №01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №012108830–67 (№01211022-67; №0121111334-67; №01211173707-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64 ), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

**განკარგულება - N 21.575.672**
**28 / აპრილი / 2021 წ.**

**ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443; N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 29 მარტის N012108830-67 (N01211022-67; N0121111334-67; N01211173707-67) განცხადებით მიმართა ტარიელ გიორგაძემ (პ/ნ 21001003069) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443; N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში რეგისტრირებულ მიწის მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443). ჯამური ფართობი: 12 756 კვ.მ. ტერიტორიას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან საზღვრავს ბობ უოლშის ქუჩა. დასავლეთით ესაზღვრება კერძო, თვითმმართველის და სახელმწიფოს მიწის ნაკვეთები; ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი რელიეფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე აუთვისებელია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს აშშ-ის საელჩო. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ჩამოყალიბებულია გრუნტოვანი გზა, რომელიც პირდაპირ აკავშირებს ბობ უოლშის ქუჩას აღმაშენებლის ხეივანთან.

საპროექტო ტერიტორია ხვდება აშშ-ს საელჩოს შეზღუდვის 500 მეტრიან ბუფერულ ზონაში სადაც, სამშენებლოდ განვითარება შეზღუდულია განსაზღვრული პირობებით. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრის N6/71381 (რეგისტრაციის: N06-01203661341-16) წერილის შესაბამისად, მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენელო/გეგმარებითი პროცედურები ნაწარმოები უნდა იქნას აშშ-ს საელჩოს 2020 წლის 25 ივნისის წერილში ასახული და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 ივნისის N6/33914 წერილში წარმოდგენილი რეგულაციების სრული დაცვით. კერძოდ, ,,უკლებლივ ყველა შენობის სიმაღლე შესაბამისობაში იყოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს N061/07 დიპლომატიური ნოტაში მითითებულ შენობათა დასაშვებ სიმაღლეებთან (საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 200 მეტრის რადიუსში არაუმეტეს 10 მეტრი სიმაღლის, ხოლო 500 მეტრის რადიუსში არაუმეტეს 17 მეტრი სიმაღლის შენობა/ნაგებობები)''. ამასთან, განსათავსებელი შენობა-ნაგებობათა დასაშვები სიმაღლეებისა და სართულიანობის სავალდებულო შეზღუდვა უნდა აითვალოს აშშ-ს საელჩოს ნული ნიშნულიდან (+426.39).

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ასევე, იგი მდებარეობს ,,დიღმის ჭალების'' ქალაქგეგმარებით ,,A'' არეალში, სადაც განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, კომერციული და სხვა (30%) საცხოვრებელი (70%)

ფუნქციებით.

საპროექტო წინადადებით ტერიტორია წარმოდგენილია ორი საკადასტრო ერთეულის სახით, რომლიდანაც ერთი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას და მისი განვითარება დაგეგმილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან შეთანხმების საფუძველზე.

საპროექტო წინადადებით ტერიტორია განვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2). ზონის ცვლილება ხორციელდება გენგეგმაში ფუნქციური ზონების ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე, არსებული სატრანსპორტო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ნაწილი იცვლება სსზ-2-ით, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციური სახეობების განვითარება: დომინირებული სახეობა - საცხოვრებელი, ასევე კომერციული და დამხმარე ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობების განთავსება და საპროექტო არეალის ფარგლებში დაგეგმილი სარეკრეაციო სივრცეების კეთილმოწყობა და გაჯანსაღება.

წარმოდგენილი გადაწყვეტით სრულად არის გათვალისწინებული აშშ-ს საელჩოს მიერ განსაზღვრული სამშენებლო შეზღუდვები. დაგეგმილია 6 შენობის განთავსება; სართულიანობა მერყეობს 3-დან 8-მდე (მაქს.8 სართული).

საპროექტო ფუნქციური ზონირება: არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

N1 ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.523);

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); (11 656 კვ.მ)

კ1=0,5 კ2=3,5 (40 500 კვ.მ) კ3=0,3

N2 ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.443);

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); (1 100კვ.მ)

კ1=0,1 კ2=0,2 (192 კვ.მ) კ3=0,3

მთლიან საპროექტო არეალზე

კომერციული-12 538კვ.მ.-30%

საცხოვრებელი-28 593კვ.მ.-70%

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და $5^1$ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული.

ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 28 აპრილის N01211181463 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის N01211182911 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 22 აპრილის N61-01211123409 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.72.14.009.443 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში და განვითარდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443;

N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012108830-67 (N01211022-67; N0121111334-67; N01211173707-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443; N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
# გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01211182911**
თარიღი: **28/04/2021**
პინი: **1342**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 27 აპრილის №01211173707 67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.009.523, 01.72.14.009.443; ფუნქციური ზონა: სსზ-2, რზ-2, ტზ-1; გამწვანებული ტერიტორიების რუკა: ნაწილობრივ რზ-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში **01.72.14.009.523 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **ერთი ძირი** (№6) მაყვალი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17 55 დადგენილების (შემდგომში დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. **გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული ერთი ძირი მაყვალი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მისი მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.**

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა **01.72.14.009.523 საკადასტრო ერთეულზე** მოიჭრას ერთი ძირი (№1) ჯანსაღი ძეძვი და 4 ძირი (№2-5) ჯანსაღი ესპანური კურდღლისცოცხა (**ჯამში - 5 ერთეული**), მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარაგავების რაოდენობა (**საპროექტოდ დასარგავი:** 28 ძირი ჰიმალაის კედარი, 20 ძირი ცხენისწაბლა, 6 ძირი კავკასიური აკაკი, 20 ძირი კავკასიური ცაცხვი, 20 ძირი რობინია და 258 ძირი კვიდო; **ჯამში - 352 ერთეული)** სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**3 848 $მ^2$**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქალაქ თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.72.14.009.523 და 01.72.14.009.443 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ႵᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ – ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲑᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

წერილის ნომერი: **01211181463**
თარიღი: **28/04/2021**
პინი: **9368**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2021 წლის 27 აპრილის N 01211173707-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.009.523, 01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 13 მარტის N 01210724-67 განცხადების პასუხად N01210744102 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

წერილის ნომერი: **01210744102**
თარიღი: **15/03/2021**
პინი: **7257**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2021 წლის 13 მარტის N 01210724-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.009.523, 01.72.14.009.443) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები მისაწვდომობის ფარგლებშია და გააჩნია რეზერვი. ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში ქართულ - ამერიკული მეგობრობის გამზირი და ჯ. ბალანჩინის ქუჩა მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საქვეითო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გზის უმეტეს ნაწილს გააჩნია საქვეითო ტროტუარი, თუმცა რამდენიმე მცირე ნაწილზე საჭიროებს განახლება/რეაბილიტაციას. აღსანიშნავია, რომ საქვეითო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საქვეითო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია არსებული რაიმე შეფერხებებისა და დატვირთულობების საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

დამატებით გაცნობებთ, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სსიპ-ტრანპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული, მოძრაობის ორგანიზების სქემები, რომლის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული იქნება მინიმუმ 2,5 მეტრი სიგანის ტროტუარები. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე ან/და შიდა გეგმარებაში სამანქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ტროტუარებისგან დამოუკიდებლად ორმხრივი გზა შეადგენდეს არანაკლებ 6 მეტრს. ხოლო, ცალმხრივი გზა - არანაკლებ 3.5 მეტრს. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

# სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01211123409**
თარიღი: **22/04/2021**
პინი: **3437**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი შარტავას ქ N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2021 წლის 21 აპრილის N16-01211112481 (21.04.21 N12-01211112655-61) წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, 01.72.14.009.443 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 01.72.14.009.443 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 21 აპრილს N0121111334-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

| განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიის ზონირება | | | | პირობითი აღნიშვნები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფორმატი | ფურცელი | მასშტაბი | თარიღი | | — — | საპროექტო საზღვარი | | არასამშენებლო ტერიტორია |
| | A3 | A.18 | 1:1000 | 21/11/20 | | | საკადასტრო საზღვარი | | სამშენებლო ტერიტორია |
| | | | | | | | საკოორდინატო ბადე | | სამშენებლოდ შეზღუდული ტერიტორია |




| შემსრულებელი | თანამდებობა | სახელი; გვარი | ხელმოწერა | დამკვეთი | პროექტის დასახელება | ობიექტის მისამართი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შ.პ.ს. "თეთრი ჯგუფი"<br>ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №101<br>ტელ: 592 34 64 95 | დირექტორი | შაველგო მაღრაძე | | დამკვეთი: შპს დრიმ კალასი<br>ID ნომერი:406245148 | განაშენიანების რეგულირების გეგმა<br>მრავალფუნქციური კომპლექსი | ქალაქ თბილისი,დიღმის სასწავლო სასცდელი მეურნეობა<br>ს/კ 01.72.14.009.523 |
| | მთ. არქიტექტორი | შაველგო მაღრაძე | | | | |

| განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ა.შ.შ.-ს საელჩოს შეზღუდვის არეალი | | | | პირობითი აღნიშვნები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფორმატი | ფურცელი | მასშტაბი | თარიღი | | — — | საპროექტო საზღვარი |
| | A3 | A.19 | 1:2000 | 21/11/20 | | (ვარდისფერი) | საელჩოს ტერიტორია |
| | | | | | | (წითელი) | შეზღუდვის არეალის ბუფერი 500 მ. |



| შემსრულებელი | თანამდებობა | სახელი; გვარი | ხელმოწერა | დამკვეთი | პროექტის დასახელება | ობიექტის მისამართი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შ.პ.ს. "თეთრი ჯგუფი" ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №101 ტელ: 592 34 64 95 | დირექტორი | შავლეგო მაღრაძე | | დამკვეთი: შპს დრიმ პალასი ID ნომერი:406245148 | განაშენიანების რეგულირების გეგმა მრავალფუნქციური კომპლექსი | ქალაქ თბილისი,დიღმის სასწავლო სასცდელი მეურნეობა ს/კ 01.72.14.009.523 |
| | მთ. არქიტექტორი | შავლეგო მაღრაძე | | | | |

| განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | გეგმარების შემზღუდავი ზონირება (არსებული) | | | | პირობითი აღნიშვნები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფორმატი | ფურცელი | მასშტაბი | თარიღი | | (red line) | საკადასტრო საზღვარი |
| | A3 | A.21 | 1:1, 1:1000 | 21/11/20 | | (blue dashed line) | საპროექტო არეალის კონტური |
| | | | | | | (blue shaded box) | სანიაღვრე მილების შეზღუდვის არეალი |




| შემსრულებელი | თანამდებობა | სახელი; გვარი | ხელმოწერა | დამკვეთი | პროექტის დასახელება | ობიექტის მისამართი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შ.პ.ს. "თეთრი ჯგუფი" ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №101 ტელ: 592 34 64 95 | დირექტორი | შავლეგო მაღრაძე | | დამკვეთი: შპს დრიმ ჰაუსი ID ნომერი:406245`48 | განაშენიანების რეგულირების გეგმა მრავალფუნქციური კომპლექსი | ქალაქ თბილისი,დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა ს/კ 01.72.14.009.523 |
| | მთ. არქიტექტორი | შავლეგო მაღრაძე | | | | |

| განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | საპროექტო ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების გეგმა | | | | პირობითი აღნიშვნები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფორმატი | ფურცელი | მასშტაბი | თარიღი | | | საპროექტო საზღვარი |
| | A3 | A.27 | 1:1000, 1:0.75, 1:0.82 | 21/11/20 | | | საკადასტრო საზღვარი |
| | | | | | | | საკოორდინატო ბადე |
| | | | | | | | სსზ-2 |




(სსზ-2): განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით. შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/ **საპროექტო გადაწყვეტის** საერთო ფართობის 25%-ისა:

**განაშენიანების რეგულირების პარამეტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| კ-1 | | **0,5 * / 0,7** | კოეფიციენტი |
| კ-2 | | **4,6** | კოეფიციენტი |
| კ-3 | | **0,2/ 0,3*** | კოეფიციენტი |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე | | – | ერთეული/ჰა |
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | **700** | კვ.მ |
| | მინიმალური სიგანე | **20** | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | **30** | მეტრი |
| შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე | | – | მეტრი |

** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი*

**შენიშვნა** *საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის,*

*სადაც საცხოვრებლი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.*

## საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2):

ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები:

· მრავალფუნქციური შენობა დომინირებულად გამოყოფილია საზოგადოებრივი ფუნქციური სახეობები);

· პარკი;

· ბაღი;

· სკვერი;

· ბულვარი;

· აფთიაქი.

· ჩაშენებული საზოგადოებრივი ტუალეტი;

· ინდივიდუალური ან/და საერთო სარგებლობის ავტოსადგომი;

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
- დაწყებითი სკოლა;
- საშუალო სკოლა;
- საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება;
- უმაღლესი სასწავლებელი;
- პოლიკლინიკა;
- კაზინო და სხვა აზარტული თამაშების ობიექტი;
- ჯიხური ან/და დროებითი პავილიონი (საცალო ვაჭრობისა და მომსახურეობისათვის);
- პოლიციისა და არასაუწყებო დაცვის განყოფილება;
- აეროსადგური;
- ავტოგასამართი სადგური ავტოგასამართი კომპლექსი, აირგასამართი სადგური ან აირსავსები საკომპრესორო სადგური
- სახანძრო დეპო;
- კომუნალური და საინჟინრო-ტექნიკური ობიექტი;
- საკულტო შენობები და ნაგებობები;
- სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი.

| შემსრულებელი | თანამდებობა | სახელი; გვარი | ხელმოწერა | დამკვეთი | პროექტის დასახელება | ობიექტის მისამართი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შ.პ.ს. "თეთრი ჯგუფი" ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №101 ტელ: 592 34 64 95 | დირექტორი | შავლეგო მაღრაძე | | დამკვეთი: შპს დრიმ პალასი ID ნომერი:406245148 | განაშენიანების რეგულირების გეგმა მრავალფუნქციური კომპლექსი | ქალაქ თბილისი,დიღმის სასწავლო სასცდელი მეურნეობა ს/კ 01.72.14.009.523 |
| | მთ. არქიტექტორი | შავლეგო მაღრაძე | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი** | **მიწის ნაკვეთისთვის კოეფიციენტების დადგენის გეგმა** | | | |
| | ფორმატი | ფურცელი | მასშტაბი | თარიღი |
| | A3 | A.28 | 1:1000 | 21/11/20 |

**პირობითი აღნიშვნები**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საკადასტრო საზღვარი | | ქუჩის ღერძულა ხაზი | | სერვიტუტი | | შენობის განთავსების არეალი |
| | წარმოსახვითი სამეზობლო მიჯნა | | შიდა კაპიტალური სატრანსპორტო გზა | | საპროექტო არეალის კონტური | | განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი |
| | უკანა ეზო | | შიდა კაპიტალური საფეხმავლო გზა | | საპროექტო სანიაღვრე და საყოფაცხოვრებო წყალარინების ტრასა | | |
| | მიწისპირა სართულის კონტური | | გამწვანებული ტერიტორია | | ნაგავშემკრები ურნები | | |

| მიწის ნაკვეთი | ფართობი | ფუნქციური ზონირება | ნაკვეთის დანიშნულება | სივრცით გემარაბითი წყობის სახეობა | რამდენიმე შენობის განთავსების რეჟიმი | კ1 | კ2 | კ3 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
